N1

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ლევან უჩანეიშვილის მოსახლეობასთან ანგარიშის ჩაბარების მიზნით გამართული შეხვედრის ოქმი.

შეხვედრა გაიმართა 2025 წლის 27 ოქტომბერს, აღმაშენებლის ქუჩაზე.
შეხვედრა დაიწყო 15:00 საათზე , დამთავრდა 16:15 საათზე.
შეხვედრას ესწრებოდა: აღმაშენებლის, ჭავჭავაძისა და ცაგარელის ქუჩის მოსახლეობა.
შეხვედრას უძღვებოდა ლევანი უჩანეიშვილი.

დღის წესრიგი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს, ლევან უჩანეიშვილის 2025 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ.

მომხსენებელი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ლევან უჩანეიშვილი.

მოსახლეობასთან შეხვედრაზე აღვნიშნე, რომ როგორც საკრებულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, აქტიურად ვიყავი ჩართული მუნიციპალიტეტისათვის ყველა მნიშვნელოვანი და საკეთილდღეო საკითხების განხილვა-დაგეგმვაში.

საკრებულოს სხდომებზე აქტიურად ვუჭერდი და ვუჭერ მხარს სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელ მნიშვნელოვან სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

შეხვედრაზე მოსახლეობას მოვახსენე, რომ მიმდინარე წელს დავესწარი საკრებულოს 10 სხდომას, საკრებულოს რიგგარეშე 4 სხდომას, საკრებულოს ბიუროს 15 სხდომას, საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე 3 სხდომას და საკრებულოს კომისიების სხდომას, რომლის შემადგენლობაში მე შევდივარ.

შეხვედრაზე მოსახლეობას ვესაუბრე სენაკის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებზე:

სენაკის მუნიციპალიტეტში, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, 3 სპორტული მოედნის მშენებლობა დასრულდა.
სტადიონები მოეწყო თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის ტყირის უბანში, საგვარამიოს უბანში, ქალაქში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, სამუშაოების ფარგლებში, ეწყობა ხელოვნურსაფარიანი მოედნები, გარე განათების სისტემები, შემოიღობება სტადიონები.
პროექტები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 15-ვე ადმინისტრაციულ ერთეულში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 52 ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულების ეტაპზეა.
მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით, ეწყობა საგზაო ინფასტრუქტურა, გარე განათების ახალი სისტემები, სკვერები, ატრაქციონები, ხიდები, რეაბილიტაცია უტარდება სტადიონებს, სანიაღვრე სისტემებს.

ამ ეტაპზე, გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულის საჯღამაიოს უბანში, მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით - 592 377 ლარი. პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით.

უახლოეს პერიოდში, რეაბილიტირდება გეჯეთის ადმინისტრაციული ერთეულის ბიბლიოთეკის შენობა და კეთილმოეწყობა ბიბლიოთეკის ეზო. სამუშაოების საერთო ღირებულება 16 000 ლარს შეადგენს.

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს გოლასკური - ზემო ჭალადიდის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით - 631 578 ლარი. ასევე - ზემო ჭალადიდის ცენტრიდან საგვიჩიოს მიმართულებით, საგზაო

ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის I და II ეტაპის სამუშაოები, საერთო ღირებულებით - 804 490 ლარი. პროექტები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებითა და მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება.

უახლოეს პერიოდში, ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, 4 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. სოფელ მუხურში სრულად რეაბილიტირდება რეკრეაციული სივრცე, ღირებულებით - 12 500 ლარი. რეაბილიტაცია ასევე ჩაუტარდება გმირთა მემორიალს. პროექტის ღირებულება 3 500 ლარს შეადგენს. სოფელ მუხურში განხორციელდება საყანე ფართობების შემოკავების სამუშაოები, ღირებულებით - 13 500 ლარი. სოფელ სირიაჩქონში მოეწყობა გარე განათების სისტემა, ღირებულებით - 2 500 ლარი.

ამ ეტაპზე, სენაკის მუნიციპალიტეტის უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში - უშაფათში, ლეგოგინესა და ლეკოკაიეში, „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" დაფინანსებით, გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

პროექტის ღირებულება 1 445 367 ლარია. სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება.

პროექტი მოიცავს გაზგაყვანილობის ქსელის როგორც მშენებლობას, ასევე - გაზიფიცირებული უბნების გამრიცხველიანებას.

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, ლეგოგინესა და ლეკოკაიეს უბნებში, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელთა საერთო ღირებულება 168 422 ლარს შეადგენს. პროექტები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით.

სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, მიმდინარე წელს, დასრულდა უშაფათის საჯარო სკოლის მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ღირებულებამ 2 326 925 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წელს, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, სტიქიის შედეგად დაზიანებულ გზაზე, აღდგენილ იქნა გვერდულები. სამუშაოების ღირებულებამ 53 990 ლარი შეადგინა.

უახლოეს პერიოდში, უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებით, სოფლებში - უშაფათში, ლეგოგინესა და ლეკოკაიეში, მოეწყობა გარე განათების სისტემა, საერთო ღირებულებით - 20 000 ლარი. ლეკოკაიეს უბანში ასევე იგეგმება საყრდენი კედლის მოწყობა ხიდზე, ღირებულებით - 4 000 ლარი. ლემალანიეს უბანში კი - მოეწყობა მილხიდები და სათავისები, ღირებულებით - 8 000 ლარი.

უახლოეს პერიოდში, მეორე ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებით, საბარკალაიოსა და საგუდავოს უბნებში მოეწყობა გარე განათების სისტემა, საერთო ღირებულებით - 13 500 ლარი. სალოლუოს უბანში ასევე კეთილმოეწყობა სოფლის სასაფლაოს ტერიტორია, ღირებულებით - 2 500 ლარი.

ამ ეტაპზე, სენაკის მუნიციპალიტეტის ზანის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში, ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს გაზგაყვანილობის ქსელის როგორც სამშენებლო, ასევე - გაზიფიცირებული უბნების გამრიცხველიანების მასშტაბური პროექტი.

გაზიფიცირების სამუშაოები „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ღირებულება 2 191 444 ლარია.

უახლოეს პერიოდში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" სოფლებში - შრომისკარსა და ეკში - მოეწყობა სანიაღვრე სისტემები. პროექტების საერთო ღირებულება 22 000 ლარს შეადგენს. სოფელ საადამიოში დაიწყება გარე განათების ახალი სისტემის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 10 000 ლარი. სოფელ საცხვიტავოში მოეწყობა მინი სპორტული მოედანი და სრულად რეაბილიტირდება წყალმომარაგების სისტემა. სამუშაოების ღირებულება 10 000 ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს მთავრობის დაფინანსებით, სენაკის მერიამ, ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში, 467 793 ლარის ღირებულების 3 პროექტი განახორციელა. სოფლებში - საადამიოსა და შრომისკარის საშურღაიოს უბანში რეაბილიტირდა სტიქიისგან დაზიანებული საგზაო ინფრასტრუქტურა, სამუშაოების საერთო ღირებულებამ 377 772 ლარი შეადგინა. სოფელ შრომისკარში ასევე აღდგენილ იქნა

მიმდინარე წელს, საბავშვო და ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულს, 50 აღსაზრდელზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი შეემატა. საბავშვო ბაღის მშენებლობის მასშტაბური პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება 1 276 666 ლარს შეადგენს. ამ ეტაპზე, ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში, დასრულების ეტაპზეა ეკლესიამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებითა და მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით ხორციელდება და ღირებულება 90 290ლარს შეადგენს.

უახლოეს პერიოდში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 64 000 ლარის ღირებულების 6 პროექტი განხორციელდება: სრულად რეაბილიტირდება სოფლის ბიბლიოთეკის შენობა; პროექტის ღირებულება 17 000 ლარს შეადგენს. სოფლებში - ბეთლემში, კვაუთსა და ლესაჯაიეში, მოეწყობა გარე განათების ახალი სისტემა; საერთო ღირებულებით - 32 000 ლარი. სოფელ ლესაჯაიეში, რამდენიმე ლოკაციაზე, ასევე მოეწყობა მილხიდები; სამუშაოების ღირებულება 5 000 ლარს შეადგენს. სოფელ ჯოლევში იგეგმება ფანჩატურის მოწყობა, ღირებულებით - 10 000 ლარი.

წლების შემდეგ, პირველად, მიმდინარე წელს, საბავშვო და ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი შეემატა.

საბავშვო ბაღის მშენებლობის მასშტაბური პროექტი მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა და მისი ღირებულება 1 276 666 ლარს შეადგენს.

ამ ეტაპზე, ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში, „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ დაფინანსებით, გაზიფიცირების მასშტაბური პროექტი ხორციელდება. მიმდინარეობს გაზგაყვანილობის ქსელის როგორც სამშენებლო სამუშაოები, ასევე, გაზიფიცირებული უბნების გამრიცხველიანების პროცესი. პროექტის ღირებულება 2 423 425 ლარს შეადგენს.

ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით, დასრულების ეტაპზეა ორი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი: სრულად განახლდება ადმინისტრაციული ერთეულების - ფოცხო-უშაფათის დამაკავშირებელი გზა. პროექტის ღირებულება 210 526 ლარს შეადგენს.

მიმდინარე წელს, გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის სასოლომონიოს უბანში სრულად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა. სამუშაოების ღირებულებამ 322 961 ლარი შეადგინა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებითა და მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით, ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულის საოდიშარიოს უბანში, მიმდინარე წელს ასევე მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედანი. პროექტის ღირებულებამ 122 688 ლარი შეადგინა.

მიმდინარე წელს დასრულდა სტიქიის შედეგად დაზიანებული ნოსირის საბავშვო ბაღის შენობის გადახურვის სამუშაოები, ღირებულებით - 10 545 ლარი.

უახლოეს პერიოდში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, 68 000 ლარის ღირებულების 4 პროექტი განხორციელდება. სოფელ საბესელიოში მოეწყობა საკანალიზაციო სისტემა და მოხდება რკინიგზის გამიჯვნა საძოვრისაგან, სამუშაოების ღირებულება 10 000 ლარს შეადგენს; სოფელ შუა ნოსირში იგეგმება ტრენაჟორების მოწყობა, ღირებულებით - 50 000 ლარი; სოფლებში - ნოსირსა და საოდიშარიოში, მოეწყობა გარე განათების ახალი სისტემები, საერთო ღირებულებით - 8 000 ლარი.

მიმდინარე წელს, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, მდინარე ტეხურზე აშენდა ახალი ხიდი. პროექტი, რომლის ღირებულება 1 654 963 ლარია, დაფინანსდა საქართველოს მთავრობის მიერ.

უახლოეს დღეებში დაიწყება მნიშვნელოვანი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების სამუშაოები - რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ ბეთლემში, ეკლესიამდე მისასვლელ გზას. პროექტი განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებითა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით და ღირებულება შეადგენს 90 290 ლარს.

უახლოეს დღეებში ასევე დაიწყება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" გათვალისწინებული 6 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების პროცესი, რომელთა საერთო ღირებულება 64 000 ლარს შეადგენს.

მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებით, 3 სოფელში - ბეთლემში, კვაუთსა და ლესაჯაიეში დამონტაჟდება გარე განათების ახალი სისტემები, საერთო ღირებულებით - 32 000 ლარი, ლესაჯაიეში ასევე მოეწყობა მილხიდები, ღირებულებით - 5 000 ლარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ ლემაძამეს ბიბლიოთეკის შენობას და კეთლმოეწყობა ეზო, პროექტის ღირებულება 17 000 ლარს შეადგენს. სოფელ ჯოლევში მოეწყობა ფანჩატური, ღირებულებით - 10 000 ლარი.

მიმდინარე წელს დასრულდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 4 საბავშვო ბაღის მშენებლობის მასშტაბური პროექტი, რომელთა საერთო ღირებულებამ 8 668 731 ლარი შეადგინა.

საბავშვო და ბაგა-ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით, აშენდა ლემაძამეს, ფოცხოს, ძველი სენაკის და სენაკის მე-3 საბავშვო ბაღები.

2025 წელს, სკოლების მშენებლობისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 3 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა. სამუშაოების საერთო ღირებულებამ 7 370 477 ლარი შეადგინა.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რეაბილიტირდა ჟიული შარტავას სახელობის მე-2 საჯარო სკოლა, ღირებულებით - 2 794 373 ლარი, ხორშის საჯარო სკოლა, ღირებულებით - 2 249 179 ლარი და უშაფათის საჯარო სკოლა, ღირებულებით - 2 326 925 ლარი.

მიმდინარე წელს, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეალიტაციის პროექტების ფარგლებში, 5 მინი სპორტული მოედნის მშენებლობა დაასრულა დედის და ღვინჯილიას ქუჩებზე, თეკლათის, ნოსირის და ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულების გოლასკურის და საოდიშარიოს უბნებში, სოფელ ისულაში.

პროექტების ფარგლებში, მოეწყო ხელოვნურსაფარიანი მოედნები, გარე განათების სისტემა, სტადიონები შემოიღობა, დამონტაჟდა ტრენაჟორები.

პროექტები, საერთო ღირებულებით - 590 149 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა.

უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის ლეკოკაიეს შიდა საუბნო გზაზე ბეტონის საფარი იგება.

ძველი სენაკის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ სორტაში, ჩილაჩავების უბანში, საავტომობილო გზის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

სენაკის მუნიციპალიტეტის უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში მიმდინარე გაზიფიცირების სამუშაოები დაათვალიერა.

გაზიფიცირების სამუშაოები სოფელ უშაფათში, ლეგოგინესა და ლეკოკაიეში აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 1 604 324 ლარია. სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება.

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბანში სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი, ღირებულებით - 106 074 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება.

მიმდინარე წელს რეაბილიტირდება:

გოლასკური-ზემო ჭალადიდის დამაკავშირებელი გზა, ღირებულებით - 1 190 919 ლარი;

კალისტრატე გრიგოლიას ქუჩა, ღირებულებით - 75 190 ლარი;

ვაჟა-ფშაველას ქუჩა, ღირებულებით - 78 390 ლარი;

ზანის ადმინისტრაციული ერთეულის საესებუოს შიდა საუბნო გზა, ღირებულებით - 520 180 ლარი;

სანქტ-პეტერბურგის ქუჩის რეაბილიტაცია (ჟიული შარტავას ქუჩიდან თბილისის ქუჩამდე), ღირებულებით - 63 725 ლარი;

ლეძაძამეს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბეთლემში, ეკლესიამდე მისასვლელი გზა, ღირებულებით - 78 693 ლარი;

ფოცხოს და უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი გზა, ღირებულებით -665 000 ლარი;

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, პატარა შხეფის საუბნო გზა, ღირებულებით - 216 310 ლარი;

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზემო ჭალადიდის ცენტრიდან საგვიჩიოს მიმართულებით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის მეორე ეტაპი, ღირებულებით - 187 573 ლარი;

ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯარო სკოლიდან მეურნეობისკენ მიმავალი გზა, ღირებულებით - 944 800 ლარი;

ლადო ასათიანის ქუჩა, ღირებულებით - 161 000 ლარი;

მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ბათარიაში - მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 ქუჩები, საერთო ღირებულებით - 592 740 ლარი;

უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის ლეგოგინეს შიდა საუბნო გზა, ღირებულებით - 135 490 ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულება 4 910 010 ლარს შეადგენს.

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს შემდეგ ლოკაციებზე:

მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში - სოფელ სახარბედიოს მე-3 ქუჩისა და შესახვევების რეაბილიტაცია, ღირებულებით -194 386 ლარი;

სოფელ სახარბედიოში - I ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 58 780 ლარი;

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში - საარახამიოს შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით -266 172 ლარი;

სოფელ სორტაში - ჩილაჩავების საუბნო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 280 412 ლარი;

ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში - სასოლომონიოს შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 322 961 ლარი;

უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში - ლეკოკაიეს უბნის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 145 687 ლარი;

გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - საჯღამაიოს საუბნო გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 592 377 ლარი;

ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში - ლედემურიეს უბნის გზის რეაბილიტაცია, ღირებულებით - 831 339 ლარი;

ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში - ზემო ჭალადიდის ცენტრიდან საგვიჩიოს მიმართულებით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ღირებულებით - 804 490 ლარი;

საერთო ღირებულებით - 3 496 606 ლარი;

22 საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის საერთო ღირებულება 8 მილიონ 406 617 ლარს შეადგენს.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლევანი უჩანეიშვილი